

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი



მოგესალმებით
და გაგაცნობთ
საქართველოს
ზრდასრულთა განათლების
ქსელის (GAEN) მიერ
მიმღინარე პერიოდში გაწეული
მუშაობისა და საინტერესო
მოვლენების შესახებ



N1
2019

ნომერში:

- პროექტის ნარატიული ანგარიშის მომზადების ტექნიკები 2
 - ტრენერთა ტრენინგი 3
- მარკეტინგი და მარკეტინგული კომუნიკაცია 4
 - ხარაგაულის ცენტრის გახსნა 5
 - მედია კონკურსი 7
 - 21-ე საუკუნის ზრდასრულთა განათლების მანიფესტი 9
 - EAEA-ს ყოველწლიური
 - ასამბლეა 10

პროექტის ნარატიული ანგარიშის მომზადების ტექნიკები

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის (GAEN) დაკვეთით 2019 წლის 23-25 მაისს GAEN-ის ოფისში პროექტის ნარატიული ანგარიშის მომზადების ტექნიკების თემაზე სამ დღიანი ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგის კონკრეტული მიზანი იყო ანგარიშების საკითხებზე ზრდასრულთა განათლების ცენტრების დირექტორებისა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა ცოდნისა და შესაძლებლობების გაზრდა, რაც თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას მოიცავდა. ტრენინგს 13 მონაწილე ჰყავდა, რომელთაც ტრენინგის დახმარებით ნარატიული ანგარიშის წერის უნარები გაიუმჯობესეს და მიღებული ცოდნით მომავალში შეძლებენ, ანალიტიკურად და ნათლად გადმოსცენ პროექტის განვითარების ეტაპები, განხორციელებული აქტივობების შედეგად მიღწეული შედეგები. ტრენინგის მონაწილეებს ისეთ ტექნიკებზეც მიეწოდათ ინფორმაცია, როგორიცაა: წარმატებული შემთხვევების იდენტიფიცირება, ინფორმაციის სწორად შეგროვება და შემდგომ - ანგარიშში ასახვა; ასევე, სტატისტიკური ინფორმაციის ეფექტურად და მიზანთან შესაბამისობაში წარმოჩენა და მონაცემთა ვიზუალიზაციის საფუძვლები. პრაქტიკული სავარჯიშოების დროს მონაწილეები მათ ხელთ არსებულ



რეალურ მასალებს იყენებდნენ.

აღნიშნული თემა ტრენინგის ზოგიერთი მონაწილისთვის სიახლე იყო, რადგან დაკისრებულ თანამდებობაზე ანგარიშის მომზადების პასუხისმგებლობა არ აქვთ, ხოლო დანარჩენისთვის ანგარიშის მომზადება სამუშაო აღწერილობის მნიშვნელოვანი ნაწილია. სხვადასხვა გამოცდილებისა და პროფესიული უნარების მქონე მონაწილეებით ტრენინგის დაკომპლექტებამ ცოდნისა და გამოცდილების ერთმანეთში გაზიარებასა და რეალური შემთხვევების, როგორც გამოწვევების განხილვა/გადაჭრას შეუწყო ხელი.

ტრენინგის აქტივობები დროითი რესურსის გათვალისწინებით სამ ძირითად ნაწილად დაიყო:



- ანგარიშის ნარატიული ნაწილის წერის ტექნიკები;
- ანგარიშის ნარატიული ნაწილის მტკიცებულებით/სტატისტიკური ინფორმაციით შევსება;
- წარმატებული შემთხვევების იდენტიფიცირება და ანგარიშში წარმოდგენა.



ტრანსლატორის ტრანსლატორი



24 აპრილს, ხარაგაულში სახალხო უნივერსიტეტთა გერმანულმა ასოციაციამ DVV International ზრდასრულთა განათლების კიდევ ერთი ცენტრი გახსნა. ცენტრი რიგით მეთერთმეტეა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედ DVV-ს ცენტრებს შორის. ახალი წევრი ორგანიზაციის შესაძლებლობების გაძლიერებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რისთვისაც GAEN-მა 11-12 ივნისს ხარაგაულის ცენტრში ტრენინგებისთვის ტრენინგი ჩაატარა.

მას ტრენინგები მანანა გაბუნია და თეა ტყემალაძე უძღვებოდნენ. აქტივობის ფარგლებში მონაწილეები ზრდასრულთა განათლების პროგრამის შემუშავების ძირითად ელემენტებს გაეცნენ, კერძოდ: არაფორმალური განათლების კურსების დანერგვის საკვანძო საკითხებს, ასევე - ადგილობრივი შრომის ბაზრის გათვალისწინებით ახალი სასწავლო კურსების შემუშავებისა და დანერგვის პროცესში თემის მობილიზებისათვის საჭირო ელემენტებს. ტრენინგის ფარგლებში ტრენინგებმა ზრდასრულთა განათლების ეფექტური მეთოდოლოგია შეისწავლეს, რომელშიც ქსელის წევრების მუშაობის სპეციფიკა და მახასიათებლებია გათვალისწინებული.

ტრენინგის მთავარი მიზანი იყო ცენტრის ტრენინგებისთვის შემდეგი საკითხების გაცნობა:

- ზრდასრულთა განათლების ძირითადი პრინციპები;



- სასწავლო კურსის დაგეგმვა;
 - სწავლების მეთოდები;
 - კეთებით სწავლების უპირატესობა;
 - ეფექტური კომუნიკაციის ტექნიკები;
 - სტერეოტიპული აზროვნება.

ტრენინგს 12 მონაწილე ესწრებოდა, რომ-
ლებმაც ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე თე-
ორიული ცოდნა მიიღეს და მიღებული ცოდნა
პრაქტიკული დავალებებით გაიმყარეს. ტრე-
ნინგი საინტერესოდ, დინამიურად მიმდინა-
რეობდა და მონაწილეთა მაქსიმალური ჩართუ-



ლობით გამოირჩეოდა როგორც პრაქტიკულ
სამუშაოებში, ისე პრეზენტაციების მომზადე-
ბისა და წარდგენის პროცესში.

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ

GAEN-ის ერთ-ერთი სტრა-
ტეგიული მიმართულება
ქსელში გაერთიანებული ცენ-
ტრების ადმინისტრაციისა და
ტრენერების შესაძლებლობე-
ბის გაძლიერებაა. როგორც
2018 წლის საჭიროებების შე-
ფასების შედეგებით გამოვ-
ლინდა, მიზანშეწონილია, ცენ-
ტრის ადმინისტრაციის წარ-
მომადგენელბისთვის ტრენინ-
გი მარკეტინგის საკითხებზე
ჩატარდეს. ეს, ერთი მხრივ,
ხელს შეუწყობს ცენტრებში
განხორციელებულ კურსებზე
(და სხვა სერვისები) მოთხოვ-
ნადობის ზრდას, საპროექტო
განაცხადის შექმნისას კი ისე-
თი ნიუანსების გათავლისწი-
ნებას, რომელიც დონორის-
თვის მიმზიდველს გახდის
პროექტს და მეორე მხრივ,
ცენტრების ბაზაზე არსებუ-
ლი სოციალური საწარმოების
პროდუქციისა ან/და სერვისე-
ბის გაყიდვას.



ბისთვის ჩატარდა ტრენინგი მარკეტინგსა და მარკეტინგულ კომუნიკაციაზე. ტრენინგის ფარგლებში ის თემები იყო მოცული, რომელიც მარკეტინგული კუთხით ცენტრებს თავიანთი მუშაობის პროცესში და სოც.საწარმო-ების მართვაში სჭირდებათ. 3 დღის განმავლობაში მონაწილეებმა თეორიულ ცოდნას-თან ერთად პრაქტიკულ დავალებებზეც იმუშავეს, რომლებიც მარკეტინგული კომუნიკაციის ძირითად პრინციპებს, ადგილობრივი ბაზრის



კვლევას და ცენტრის მარკეტინგული გეგმის შედეგენას შეეხებოდა. ტრენინგს გამოცდილი ტრენერი და ამ სფეროს პროფესიონალი კახა მაღრაძე უძღვებოდა.

ზემოთ აღნიშნული საკითხების გარდა, ეს დღეები ქსელის ცენტრების თანამშრომლებისთვის იმ თვალსაზრისითაც იყო პროდუქტიული, რომ გაეცნენ ამბოლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ბაზას, იქ არსებულ სიტუაციას, ცენტრის სტურქტურასა და შე-



საძლებლობებს, რაც ქსელური ასოციაციის საერთაშორისო მუშაობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ღო- თანამშრომლობის ინსტიტუ- ტის (DVV International) საქარ- ნისძიება გერმანიის სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული მხარდაჭერით გაიმართა.

ხარაგაულის ცენტრის გახსნა



24 აპრილს, ხარაგაულში სახალხო უნი- ვერსიტეტთა გერმანულმა ასოციაციამ DVV

მედ DVV-ს ცენტრებს შორის.

ოფიციალური გახსნის ცერემონიალს ადგილობრივ მოსახლეობასთან და ხელისუფლებასთან ერთად, თბილისიდან მოწვეული სტუმრები და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის



ელჩი საქართველოში, ბატონი ჰუბერტ ქნირში დაესწრნენ, რომელიც მეუღლესთან ერთად ეწვია რაიონს. საპატიო სტუმრებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი, ნიკოლოზ თოფურიძე მიესალმა. მან მადლობა გადაიხადა ასეთი საგანმანათლებლო კერის გახსნისათვის რაიონში და აღნიშნა, რომ ეს ღირებული მხარდაჭერაა როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ისე მუნიციპალიტეტისათვის. ამიტომ რაიონის ხელმძღვანელობაც, ცენტრის ხელშეწყობისა და წარმატებით ფუნქციონირებისათვის ძალისხმევას არ დაიშურებს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში, ბატონმა ჰუბერტ ქნირშმა თავის გამოსვლაში სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული მოდელის სიკეთებზე და მის ასწლოვან გამოცდილებაზე ისაუბრა გერმანიაში; პატივისცემითა და მადლიერებით აღნიშნა, ასევე, სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქარ-

თველოს ოფისის საქმიანობა და გულითადად მიულოცა კიდევ ერთი გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა **DVV International**-ის კავკასიის, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის და თურქეთის რეგიონული დირექტორი მაია ავრამოვსკა, რომელმაც რეგიონულ მასშტაბში DVV International-ის საქართველოს ოფისის როლსა და მოღვაწეობაზე გაამახვილა ყურადღება. განეული სამუშაოსთვის მან პერსონალური მადლობები გადაუხადა ქართული ოფისის წარმომადგენლებს და უშუალოდ ცენტრის გახსნაში ჩართულ პირებს, რომელთა თავდაუზოგავი და ნაყოფიერი შრომით დადგა ასეთი სასიკეთო შედეგი.

შემდეგ სტუმრებს განეული მუშაობის შესახებ და რეგიონებისთვის სათემო ცენტრების მნიშვნელობაზე ესაუბრა **DVV International**-ის საქართველოს ოფისის დირექტორი, ლალი სანთელაძე. DVV International-ის ძალისხმევით, 2006 წლიდან რეგიონებში შექმნილმა ცენტრებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ადგილებზე არაფორმალური განათლების მიღებისა და დასაქმების ხელმისაწვდომობა. „ეს ცენტრები განათლების, დასაქმებისა და კომუნიკაციის ნამდვილ კერებად იქცა რეგიონებში, სადაც, ასეთი ადგილები სამწუხაროდ, ცოტაა. ამიტომ ცენტრებში მიღებული სიკეთეები ადგილობრივი მოსახლეობისთვის იმდენად დიდია და ფასეული, რომ DVV International-ის საქართველოს ოფისს განზრახული აქვს, ზრდასრულთა სათემო





განათლების ცენტრები ქვეყნის ყველა რეგიონში გახსნას" - აღნიშნა თავის გამოსვლაში ქალბატონმა ლალიმ. მან მადლობა გადაუხადა გერმანიის მთავრობას, დონორებსა და ადგილობრივ ხელი-

სუფლებას, პარტნიორებსა და კოლეგებს იმ შრომისა და მხარდაჭერისთვის, რომლის გარეშეც ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა.

საზემო ღონისძიების მონაწილეებმა, ლენტის გაჭრის შემდეგ, ხარაგაულის ზრდასრულთა განათლების ცენტრის სასწავლო ოთახები დაათვალიერეს. მისი დირექტორის, გიორგი მუხურაძის თქმით, ცენტრს უკვე 100-მდე ბენეფიციარი ჰყავს, რომლებიც აქ სხვადასხვა პროფესიას ეუფლებიან, მათ შორის: თექას, მაკრამეს, კულინარიას, მეფუტკრეობას, ჭრა-კერვას, კომპიუტერულ სწავლებას. მომავალში, ადგილობრივი მოსახლეობისა თუ საბაზო მოთხოვნების მიხედვით, ხარაგაულის ზრდასრულთა განათლების ცენტრში სხვა კურსებიც გაიხსნება.

მელია კონკურსი



საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი GAEN წელს უკვე მეხუთედ ატარებს კონკურსს უურნალისტებისთვის, რომელმაც ზრდასრულთა განათლების თემაზე პრესასა და ინტერნეტსივრცეში გამოქვეყნებული საუკეთესო უურნალისტური ნაშრომი და საუკეთესო ტელე-რადიო სიუჟეტი უნდა გამოავლინოს. კონკურსი პირველად 2015 წელს ჩატარდა და მას შემდეგ ტრადიციად იქცა - ყოველწლიურად ერთი ან ორი საუკეთესო ნაშრომი და ავტორი ვლინდება და ჯილდოვდება ფულადი პრიზით. გასულ წელს კონკურსს სხვა ნომინაციებიც დაემატა და ასევე გამოვლინდა ზრდას-

რულთა განათლებაში მოღვაწე საუკეთესო სათემო განათლების ცენტრი.

ეს ყველაფერი ზრდასრულთა განათლების პოპულარიზაციისთვის ხდება, განათლებისა, რომლის არსი და მნიშვნელობა საზოგადოებამ თითქოს იცის და მაინც კარგად არ ესმის - მიუხედავად იმისა, რომ, აი, უკვე ოცი წელია არაფორმალური განათლების ამ სფეროში დაუღალავად იღწვიან საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი ადგილობრივი პროვაიდერები. სანამ მათ უშუალო მოღვაწეობაზე რამეს ვიტყოდეთ, უბრალოდ და

მარტივად ავხსნით, აი, რას:

ის, რომ დღეს ქვეყანაში ადამიანებს დასაქმება უჭირთ; რომ აღარაფერში ადგებათ ათეული წლების წინ მიღებული დიპლომები; ან საერთოდ არა აქვთ ეს დიპლომი და არც რაიმე პროფესია თუ ხელობა; არ იციან, სად დასაქმდნენ და როგორ მოიპოვონ საკუთარი საარსებო და სამუშაო ადგილი შრომით ბაზარზე;

ხოლო, მეორე მხრივ - ის, რომ დამსაქმებლები სანთლით ეძებენ და ვერ პოულობენ კვალიფიციურ კადრებს თავიანთი ბიზნესისთვის; რომ ამ საყოველთაო უმუ-





შევრობის პირობებში ვერ იპოვით, მაგალითად, კარგ მცხობელს საცხობში დასასაქმებლად, კარგ სტილისტს - სალონისთვის, კარგ მკერავს ან კარგ ხელოსანს ნების-მიერ ყოფით სფეროში - ეს სწორედ ზრდასრულთა განათლების თემაა და სათანადო ყურადღებისა და რეალური მხარდაჭერის პირობებში, ასეთი პრობლემები არც ბიზნესს ექნება და არც ხალხს.

დღეს, როცა ჩვენი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სამუშაოდ საზღვარგარეთ მიდის (ხშირად კი ტრეფიკინგის მსხვერპლიც ხდება), ხოლო დანარჩენი ნაწილი საარსებო მინიმუმის მოსაპოვებლად უიმედოდ იძრდვის, სახელმწიფოს პირველი საზრუნავი სწორედ რომ შრომით ბაზარზე მოთხოვნადი ხელობების ათვისების ხელმისაწვდომობა და კარგი სპეციალისტების, პროფესიონალი ხელოსნების, საქმის ოსტატების აღზრდა. პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონში 2018 წლის ოქტომბერში შეტანილი ცვლილებები და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტში შექმნილი ზრდასრულთა განათლების სამართველო, იმედია, ამ საქმეში უდავოდ დიდ როლს შეასრულებს და მედიის მხარდაჭერაც ამიტომ არის მნიშვნელოვანი. იმ სიკეთე-

ებით ადამიანთა დაინტერესება, რაც არაფორმალურ განათლებას მოაქვს, საგრძნობლად გაზრდის ზრდასრულთა განათლების ცნობადობასა და პოპულარობას საზოგადოებაში. ამ სიკეთეების მაგალითი კი ძალიან ბევრია, უამრავი კარგი ისტორია დაგროვდა გასული წლების მანძილზე ქართულ ზრდასრულთა განათლებაში ისეთი, როცა სრულიად უიმედოდ დარჩენილი და თითქმის ხელმოცარული ადამიანები სათემო განათლების ცენტრებში შესწავლილი ხელობით დასაქმებულან, პიროვნულად და პროფესიულად განვითარებულან, უფრო მეტიც - საკუთარი ბიზნესი წამოუწყიათ და სხვებიც დაუსაქმებიათ.

ეს ისტორიები ნაკლებად იცის ხალხმა, საზოგადოება არ იცნობს ზრდასრულთა განათლებით ფეხზე დამდგარ და გაძლიერებულ ადამიანებს (თუნდაც აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა ისტორიები რად ღირს), მედიას კი შეუძლია და უნდა მოინდომოს, რომ ეს მაგალითები საზოგადოებას გააცნოს და გზა უჩვენოს...

ზრდასრულთა სათემო განათლების ცენტრები უკვე ოცი წელია იქმნება საქართველოში სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის DVV international საქართველოს ოფისის ძალისშემევით. ამჟამად ქვეყნის შვიდ რეგიონში სათემო განათლების 11 ცენტრი

ფუნქციონირებს და თითოეულ ცენტრში ათობით სხვადასხვა ხელობის შესწავლას, ძირითადად, უსასყიდლოდ სთავაზობენ ადგილობრივ მოსახლეობას. მათი დაინტერესება იმდენად დიდია, რომ DVV-ს განზრახული აქვს ქვეყნის ყველა რეგიონში გახსნას ასეთი ცენტრები. ისინი განათლებისა და პროგრესის ნამდვილი კერებია ადგილებზე საგანმანათლებლო რესურსებით არც ისე განებივრებულ ჩვენს რეგიონებში და ადგილობრივი მოსახლეობის თავშეყრისა და ურთიერთობის საყვარელი ადგილი. მომდევნო პუბლიკაციებში ჩვენ შევეცდებით მათ შესახებ უფრო ვრცლად მოგითხოვთ და ის ადამიანებიც გაგაცნოთ, ვინც ამ ცენტრებში გაიკვალა გზა.

მაგრამ, მოდით, ისევ მედიაკონკურსს და მის მნიშვნელობას დავუბრუნდეთ, რომელიც, როგორც ვთქვით, უკვე მეხუთედ ჩატარდება. წლევანდელი კონკურსი აპრილში გამოცხადდა და მისი ორგანიზატორი საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი ნოემბრამდე ელოდება უურნალისტთა ნამუშევრებს, რომლებიც ამ დროისათვის გამოქვეყნებული უნდა იყოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. ნამუშევრებს ზრდასრულთა განათლებაში მოღვაწე ექსპერტებისა და უურნალისტებისგან შემდგარი უიური შეაფასებს, ხოლო კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველას - მოქმედ და დამწყებ უურნალისტებს, სტუდენტებს, ბლოგერებს - ვინც ამ თემით დაინტერესდება და სურვილი და შესაძლებლობა აქვს, ფართო საზოგადოებასაც მოუთხოვს მის შესახებ. ქვეყანაში არსებული ზრდასრულთა განათლების გამოცდილება თემის გასაშუქებლად უამრავ საინტერესო მაგალითს იძლევა, პრობლემატურად დაგანახებთ მის სასცოცხლო მნიშვნელობას ჩვენი

საზოგადოებისთვის და საკუთარ ხედვებსაც გაგიჩენთ. სწავლების ეს არასტანდარტული და ცოცხალი მეთოდი, რომელსაც „კეთებით სწავლებას“ უწოდებენ განათლებაში, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლას სთავაზობს ადამიანებს (ასაკი შეუზღუდავია) და ერთობ აღიარებული და მოთხოვნადია ევროპაში.

მას უდიდესი ისტორია და მიღწევები აქვს გერმანიაში, სადაც იგი სახელმწიფო დონეზეა მხარდაჭერილი, რადგან სწორედ ზრდასრულთა განათლებამ და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაარსებულმა სახალხო უნივერ-



სიტყოფმა შეასრულა უდიდესი როლი ომისგან განადგურებული ქვეყნის აღდგენაში, აღორძინებაში. არაფორმალური განათლების

ეს მოდელი, დღეს კიდევ უფრო დახვეწილი და სრულყოფილი, დიდი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოს 200-ზე მეტ ქვეყანაში. ქართულ ზრდასრულთა განათლებასაც სწორედ გერმანული მოდელი უდევს საფუძვლად, რომელიც ქართულ რეალობაზე და პრიორიტეტზე მორგებული, ადაპტირებული. ასე, რომ სათქმელი და წარმოსაჩენი მართლაც ბევრია და, რაც მთავარია, სასარგებლო და სასიკეთო ჩვენი საზოგადოებისთვის, სადაც უამრავი (უმუშევევარი) დიპლომიანი გვყავს, მაგრამ კარგი ხელოსანი - სანთლით საძებარი...

21-ე საუკუნის ზრდასრულთა განათლების ეიდონაციი

ზრდასრულთა განათლების ევროპის ასოციაცია (EAEA) წარმოადგენს არასამთავრებო ორგანიზაციას ევროპაში, რომელიც 133 წევრს აერთიანებს 43 ქვეყანაში. EAEA დაარსდა 1953 წელს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლების მიერ. მისი მთავარი მიზანია წევრი ორგანიზაციების საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა და ერთმანეთთან დაკავშირება. EAEA-ს წევრი ორგანიზაციაა GAEN-იც, რომელიც ერთადერთი ქართული ორგანიზაციაა, რომელთანაც EAEA თანამშრომლობს.

2019 წელს ზრდასრულთა განათლების ევროპის ასოციაციამ (EAEA) ზრდასრულთა განათლების ახალი მანიფესტი შექმნა. მოცემული დოკუმენტი, გვთავაზობს, შეიქმნას „შემსწავლელი ევროპა“, ანუ ევროპა, რომელიც მომავალში შეძლებს, საჭირო



EUROPEAN ASSOCIATION FOR THE EDUCATION OF ADULTS

უნარების, ცოდნისა და კომპეტენციის გამოყენებით, წარმატებით გაართვას თავი გამოწვევებს. მოცემულ მომენტში, ეს მოითხოვს მდგრად ინვესტიციებს ზრდასრულთა განათლებაში ყველა დონეზე - ევროპის, ნაციონალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე. ეჭვგარეშეა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში

21-ე საუკუნის
ზრდასრულთა განათლების
მანიფესტი

სწავლის ძალა და სიხარული

EUROPEAN ASSOCIATION FOR THE EDUCATION OF ADULTS

ეს ინვესტიციები დანახარჯს გაამართლებს: ამაღლდება კონკურენციის, კეთილდღეობისა და ერების ჯამშრთელობის დონე, გაიზრდება ეკონომიკური განვითარების ტემპი და ა.შ. ზრდასრულთა განათლებას შეუძლია, შეცვალოს ცხოვრება და საზოგადოება. განათლების უფლება საზოგადოების ფუნდამენტური

უფლება და საერთო სარგებელია. EAEA-ს მიზანია ზრდასრულთა სწავლა-განათლება ევროპულ დონეზე გაძლიერებეს. მანიფესტი ხაზს უსვამს

ზრდასრულთა განათლების პოზიტიურ წვლილს ევროპის განვითარებაში. GAEN-მა, როგორც EAEA-ს მუდმივმა წევრმა, მოცემული დოკუმენ-

ტი თარგმნა და იგი განთავსებულია GAEN-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ნებისმიერი მსურველისთვის ხელმისაწვდევლისათვის.

EAEA-ს ყოველწლიური ასამბლეა



GAEN აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ღონისძიებებში, სემინარებში და კონფერენციებში როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო დონეზე. ეს ხელს უწყობს ქსელის ორგანიზაციულ განვითარებას და ქსელის წევრი ორგანიზაციების ლობირებისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. GAEN მონაწილეობდა EAEA-ს გენერალურ ასამბლეასა და კონფერენციაში, რომელიც კოპენჰაგენში 2019 წლის ივლისში გაიმართა. საქმიანი ვიზიტი სამი ძირითადი ნაწილისგან შედგებოდა: პირველ დღეს მონაწილეებმა ბორდის ახალი წევრები და EAEA-ს პრეზიდენტი Uwe Gartenschläger აირჩიეს. კანდიდატებმა თავიანთი ხედვა წარმოადგინეს EAEA-ს სამომავლო განვითარებაზე. მეორე დღეს ჩატარდა კონფერენცია, რომელზეც

ზრდასრულთა განათლების საკითხები და გამოწვევები განიხილეს. კონფერენციაზე საინტერესო პრეზენტაციები იყო წარმოდგენილი. ერთ-ერთი ყველაზე შთამაგონებელი პრეზენტაცია ეკუთვნოდა **ლენა ანდერსონს**, რომელმაც განათლებისა და მშენებლობის ხელოვნებისა და ესთეტიკის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მესამე დღეს კი განხორციელდა ვიზიტი კოპენ-



ჰაგენში არსებულ 3 სხვადასხვა ორგანიზაციაში.

ასამბლეაში **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს** ზრდასრულთა განათლების განვითარების უფროსი მარიკა ზაქარეიშვილი მონაწილეობდა.

საკონტაქტო ინფორმაცია:

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი
მისამართი: თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას N8, II სართული

ტელეფონი: 2222584

ელ.ფოსტა: info@gaen.org.ge

ვებ-გვერდი: www.gaen.org.ge

რედაქტორი

რიტა ბაინდურაშვილი



ელექტრონული ბიულეტენი მომზადებულია
სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის
DVV International ფინანსური მხარდაჭერით.